ხელშეკრულება №5

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი

ერთის მხრივ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერებისა სამინისტროს ტერიტორიული **ორგანო ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრი** (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი უფროსის - **ხათუნა ლოდიას** სახით და მეორე მრივ ი/მ დავით ლომიძე შემდგომში მიმწოდებელი, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია პრინტერებისა და ქსეროქსის აპარატების კარტრიჯების მომსახურების (დამუხტვა, აღდგენა) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ. CPV 30125100

2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 150 (ას ორმოცდაათი) ლარს.

ერთეულის ფასი განისაზღვრება შემდეგნაირად:

- კარტრიჯების დამუხტვა-აღდგენა - 15 (თხუთმეტი) ლარი

2.2 ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი - ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მომსახურების გაწევა და საქონლის გადაცემა დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით.

3.2 მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

3.3 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების ინსპექტირებასა და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის განხორციელებაზე უფლებამოსილი პირია ხათუნა ლოდია.

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4 ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
3.5 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება არაუგვიანეს 2022 წლის 12 ივლისისა.

4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის ქ.N28

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 შემსყიდველი უფლებსამოსილია:
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება,
ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები.
გ) ამ მუხლის 5.3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში თავად მიიღოს ზომები ნაკლის აღმოსაფხვრელად და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

5.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.
ბ) გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, ახალი და სათანადოდ შეფუთული საქონელი.
გ) შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა განახორციელოს უხარისხო საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა ან შეკეთება შემსყიდველის მხრიდან დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე.
5.4 შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

6. პირგასამტეხლო

6.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0,1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების

შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0,1 %-ის ოდენობით.

6.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

6.3 ხელშეკრულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი.

6.4 დაკისრებული პირგასამტეხლო გადახდილ უნდა იქნას მხარისათვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადისა.

7.ფორსმაჟორი

7.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2 თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორით მოქმედების დასრულებისთანავე.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია,თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10% -ზე მეტი ოდენობით.

8.5 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება;
დ) თუ ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბია;
ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

10. შეტყობინება

10.1 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.
10.2 შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა გადასახადების გადახდაზე.

12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე,- ხელმოწერა განხორციელდება ელექტრონულად

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 12 აგვისტომდე ჩათვლით.

14. სხვა პირობები

14.1 არცერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
14.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, თანხებით და რისკით.

15.მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

გლდანი-ნაძალადევის რაიონის
საგანმანათლებლო რესურსცენტრი
ს/კ - 202347013
უფროსი: ხათუნა ლოდია
მისამართი: ქ. თბილისი, ც.დადიანის ქ. N28
ტელეფონი: 2 77 86 85
საბანკო რეკვიზიტები: "სახელმწიფო ხაზინა"
კოდი: TRESGE22
ა/ა: GE24NB0330100200165022

მიმწოდებელი:

ი/მ დავით ლომიძე

ს/კ 01022014154

მისამართი თბილისი, ტყიბულის ქ. №13

საბანკო რეკვიზიტები: სს ლიბერთი ბანკი
კოდი: LBRTGE22
ა/ა GE47LB0112113551252000